დანართი 1

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი

<u>დამტკიცებულია:</u>

<u>21/12/2019 წელი</u>

# დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება

თბილისი
2019

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - „სდასუ“) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2 დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური მოქმედებს უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

1.3 დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, წინამდებარე დებულება, უნივერსიტეტის დებულება და შინაგანაწესი.

1.4 დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ/ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტთებთან და მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს მოქმედებს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონისა და ზოგადი ეთიკის ნორმების შესაბამისად.

1.5 სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

## მუხლი 2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ფუქნციები

2.1 დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ფუქნციებია:

ა) უნივერსიტეტში წესრიგის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და სახანძო უსაფრთხოების, აგრეთვე უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში;

ბ) შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმების და წესების დაცვა;

გ) არ დაუშვას უნივერსიტეტში დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება;

დ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისას შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნები;

ე) უნივერსიტეტის შენობისა და ინვენტარის დაცვა;

ვ) ვიზიტორის შენობაში შემოსვლისა და გასვლის კონტროლი;

ზ) უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევის გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

თ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების დაწესებულებაში თავისუფალი ორიენტაციის, გადაადგილებისა და სხვა მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა;

ი) უსაფრთხოების მექანიზმებთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების შესრულება;

კ) უნივერსიტეტში დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სხვა უფლებამოსილებების განხორციელება და რექტორის ცალკეული დავალებების შესრულება.

2.2 სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკის საკითხებში უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური კანონით დადგენილი წესით თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან.

2.3 უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე, კანონით დადგენილი წესით, თანამშრომლობს შრომის უსაფრთხოების ზედამხედველ ორგანოსთან - შრომის ინსპექციის სამსახურთან.

მუხლი 3. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურა და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები

3.1 უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურისთვის განსაზღვრეული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი, დაცვის თანამშრომლები და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;

3.2 დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

3.3 სამსახურის უფროსი:

ა) შეიმუშავებს უსაფრთხოების, შრომითი უსაფრთხოებისა და უნივერსიტეტის დაცვის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ სამუშაოებს და მათი განხორციელების მექანიზმებს;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობს პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების მართვის და ევაკუაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომების შემუშავებასა და განხორციელებაში;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უკეთებს ოპერატიულ თათბირებზე განსახილველი საკითხების მომზადება-განხილვას;

დ) კოროდინაციას უწევს და წარმართავს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას და ხელს უწყობს სამსახურის ეფექტურ მუშაობას;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, ატარებს სამსახურეობრივ მოკვლევას;

ვ) უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის შეთანხმებულ და კოორდინირებულ მუშაობას ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შრომის ინსპექციის სამსახურთან;

ზ) დაცვის და უსაფრთხოების სამსახური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს წინადადებებს.

**3.4 დაცვის თანამშრომლების ფუნქციაა:**

ა) სამსახურის უფროსთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად განახორციელონ დღის განმავლობაში ობიექტების შემოვლა-შემოწმება და მისი კონტროლი;

ბ) დროულად გამოავლინონ და/ან აღკვეთონ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში არსებული ანდა შესაძლო ხარვეზები;

გ) ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის, კერძოდ, სახანძო ონკანების, ცეცხლმაქრების და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მუდმივად გამართულ მდგომარეობაში ქონა;

დ) სახანძრო უსაფრთხოების კუთხით საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება;

ე) დაცვის ტექნიკური საშუალებების: ვიდეომეთვალყურეობისა და სასიგნალიზაციო სისტემების მონტაჟი/დემონტაჟი;

ვ) დაცვის ტექნიკური საშუალებების სწორ ექსპულატაციაზე ზედამხედველობა;

ზ) უსაფრთხოების მიზნით უნივერსიტეტის ობიექტების გარე და შიდა განათების ნორმალურ მუშაობაზე კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება;

თ) სამსახურის უფროსის სხვა მითითებების შესრულება.

**3.5. დაცვის თანამშრომლების მოვალეობები:**

ა) განუწყვეტლივ იმყოფებოდეს უნივერსიტეტის შენობაში, ყურადღებით აკონტროლოს კოპრუსი, ელექტროდამცავი და სახანძრო სიგნალიზაციის მუშაობა, კარგად იცოდეს კორპუსში აუდიტორიებისა და კაბინეტების განლაგება და თავისებურებანი;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის ქონება დაზიანების, ძარცვის, ხანძრის ან სხვაგვარი საფრთხისგან;

გ) სამსახურში ყოფნისას დაიცვას შინაგანაწესი, ეთიკის ნორმების შესაბამისად მოიქცეს უნივერსიტეტის პერსონალთან, სტუდენტებთან და უნივერსიტეტში სტუმრად მოსულ პირებთან ურთიერთობაში;

დ) უნივერსიტეტში, შინაგანაწესის შესაბამისად, აღკვეთოს ნებისმიერი დარღვევა, მათ შორის კორპუსში ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, არ დაუშვას საკანონმდებლო ბრუნვიდან ამოღებული ნივთების შემოტანა;

ე) არ დაუშვას სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება და ამის შესახებ აცნობოს სამსახურის უფროსს ან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს;

ვ) მკაცრად დაიცვას და სხვასაც მოსთხოვოს დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების წესები, რომლებიც გამორიცხავენ ხანძრებისა და აალების შემთხვევებს;

ზ) სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, შესაბამის უფლებამოსილ პირთან ერთად, შეამოწმოს უნივერსიტეტის შენობა, დარწმუნდეს კორპუსის დაცულობაში, სიგნალიზაციის გამართულ მუშაობაში და ჩაიბაროს კორპუსი;

თ) საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეებს აღმოუჩინოს პირველადი დახმარება;

ი) დანაშაულებრივი ფაქტების აღმოჩენის, კონფლიქტური სიტუაციების ან სხვა გართულებების შემთხვევაში მყისიერად აცნობოს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს;

კ) შეასრულოს ხელმძღვანელობის სხვა მითითებები.

**3.6 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი**

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციაა:

ა) უზრუნველყოს უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოების ღონიძიებების დანერგვა და მართვა;
ბ) გამოავლინოს ყველა საფრთხე დროულად, შეაფასოს რისკი და დანერგოს რისკის კონტროლის მექანიზმები;
გ) შექმნას შრომის უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს უნივერსიტეტმა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში;
დ) შრომის უსაფრთხოების სისტემაში ჩართოს თითოეული თანამშრომელი.
3.7 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობები
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობებია:
ა) უხელმძღვანელოს და წარმართოს პერსონალისა და სტუდენტების სწავლებებისა და ინსტრუქტაჟების პროცესი;
ბ) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წარუდგინოს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
გ) მოახდინოს რეაგირება შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე და მიაწოდოს ინფორმაცია სამსახურის უფროსს;
დ) უხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების კუთხით გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებს;
ე) კომპეტენციის ფარგლებში იზრუნოს საფრთხის შემცველი ფაქტორების აღმოფხვრასა და შემცირებაზე;
ვ) განახორციელოს პერსონალისა და სტუდენტების მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგი;
ზ) მონაწილეობა მიიღოს უბედური შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევისა და რეგისტრაციის პროცესში;
თ) დადგენილი წესით აწარმოოს ჟურნალები;
ი) აკონტროლოს უნივერსიტეტში განთავსებული ტექნიკურ მოწყობილობათა და დანადგართა უსაფრთხოება და შრომის პირობები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
კ) განახორციელოს შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობები;
ლ) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

3.8 დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულების, შინაგანაწესისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

**მუხლი 4. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ძირითადი შეზრუდვები**
4.1. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს აქვს სპეციალური ფორმა განმასხვავებელი ნიშნებით;
4.2 უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს ეკრძალებათ სამსახურეობრივი საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**მუხლი 5. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათისა და იურისტის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატების საფუძველზე. ცვლილებათა პროექტს ამტკიცებს რექტორი.